წერილის ნომერი:**31-31263064**
თარიღი: **02/11/2026**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის, თენგიზ ურუშაძის, მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2025 წლის 30 ოქტომბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის ანგარიში

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 28. 10. 2026 წელი 13:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი თენგიზ ურუშაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში) ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა და მაჩხვარეთის ადგილობრივი მოსახლეობა. მაჟორიტარმა დეპუტატმა თენგიზ ურუშაძემ დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და მადლობა გადაუხადა შეხვედრაზე დასწრებისთვის. მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენას ითვალისწინებს.

დეპუტატმა საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ საქმიანობაზე საუბრისას აღნიშნა, რომ ორაგვეში ზიპლაინის მოწყობისთვის საჭირო სამუშაოები თითქმის დასრულებულია და ობიექტი უახლოეს მომავალში გაიხსნება, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას. ამასთან, გზის რამდენიმე მონაკვეთზე მოეწყო რკინა-ბეტონის საფარი. მან ყურადღება გაამახვილა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგების აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ რამდენიმე ქუჩაზე დაგეგმილია სანიაღვრე არხების მოწყობა და ანაფრეზის დაყრა.

დეპუტატის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში ორ მოქალაქეს საცხოვრებელი სახლის სახურავის გადახურვაში გაეწია დახმარება, ხოლო 25 ოჯახმა მიიღო სოციალური დახმარება, მათ შორის, სამედიცინო საჭიროებების დაფინანსებისა და ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით.

მომდევნო საანგარიშო პერიოდის პრიორიტეტებზე საუბრისას თენგიზ ურუშაძემ ყურადღება გაამახვილა შემდეგ მიმართულებებზე:

- საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

- წყალმომარაგებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება;
- მოსახლეობის საჭიროებების დროული შესწავლა და პრობლემების გადასაჭრელად შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ დეპუტატმა ადგილობრივ მოსახლეობას მიმართა და მოუწოდა, მიეწოდებინათ ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ.

მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობამ ძირითად პრობლემებად დაასახელა:

- კვირკველიების უბანში, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწესრიგება;
- წმინდა გიორგის მესამე ჩიხის გზის მოწესრიგება;
- საძოვრებისა და საყანე ფართობების შემოღობვის საჭიროება.

შეხვედრის დასასრულს მაჟორიტარმა დეპუტატმა თენგიზ ურუშაძემ აღნიშნა, რომ თავისი სადეპუტატო უფლებამოსილების ფარგლებში ძალისხმევას არ დაიშურებს მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემების შეძლებისდაგვარად მოსაგვარებლად. მან ასევე ხაზი გაუსვა ადგილობრივ მოსახლეობასთან აქტიური თანამშრომლობისა და შესაბამის უწყებებთან კოორდინირებული მუშაობის გაგრძელების მნიშვნელობას.

თენგიზ ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი